ლიტერატურულ და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 13 მარტი, 24 1896 წ. № 13

* * *

გათენდა დილა, მაგრამ რა დილა!..
მზემ სიყვარულით მიწას შეხედა
და, მოხიბლული იმის შვენებით,
ტკბილი ღიმილით ცაზე შეჩერდა.

* * *

მისი სხივები მინდვრებს და ველებს,
განახლებულებს ზე დაეკონენ,
თითქოს უნდოდათ, ამიერიდან
განუშორებლივ შეერთებოდენ.

* * *

ეს რა დღე არის?.. ეს
რა ძალაა,
მაერთებელი ზეცის და
მიწის?.
—აღდგომა არი, აღ-
დგომა არი!—
ბუნების ხმებში პასუ-
ხი ისმის.

—კ.

სააღდგომო სურათები

სცენები

ქართლის ცხოვრებიდან

ᲑᲝᲤᲔᲚ ᲡᲐ—ᲨᲘ ფოთოლაძიანთ ნახევრათ დანგრეული და ადგილ-ადგილ დახაესებული კოშკი ძველებური სიმაყით გადმოცქერის მაღლობიდან ირგვლივ მდებარე ახლათ ამწვანებულ ჭალას, სადაც მიხვევ-მოხვევით მიმოიკლაკნება თეძამი, ეს მრავალსაუკუნოვანი დარაჯი ამ სოფლისა, ეს დამსწრე მემატიანე მკვიდრთა ყოველივე წარსულისა.

ჭალას გაღმა მდორეთ გაშლილა, მოდის, მოდუდუნებს იგი, ასე გეგონებათ, რაღაცას მოგვითხრობდეს სოფლელების ოდესმე მშვიდსა და მყუდროთ განელილ წარსულზე. უახლოვდება-რა ფოთოლაძიანთ კოშკს, აქ კი ბრაზ-მორეულივით აფთრდება თეძამი, შხუის, ეცემა ხრამში გალომებული და ქაფათ ნაქცევი ღრიალით ეჯახება იქიდან კლდის უზარმაზარ ნაკვეთებს, თითქო ლამობდეს ამ წყლიდან ამომცქერალ დეევების დამსხვრევას, განადგურებას თავისუფლების მოსაპოვებლათ.

ბინდდება... გაზაფხულის თბილი ნიავი სრიალით დასთამაშებს ნაზათ ახმაურებულ ჭალას და კოშკთან შეფრიალების დროს ჭაბუკურ თავ-დავიწყებით ზე-აწყდება ხასხას – ფოთლებით გაყმაწვილებულ ბებერ მუხას, ეხვევა მას, ელაზღანდარება...

მუხა კარგა იცნობს ამ არა-მკითხე მოტრფიალეს, არა ერთხელ უკვნესია მის გაშმაგებულ ხვევნა-კოცნაში და ამიტომ ახლაც გადაზნექილი, ტოტებ-გაშვერილი შეჰკვნესის გოლიათ-კოშკს: „დამიხსენ ამ გიჟ-მაჟ არშიყისაგან, რაღა დროს ჩემი ეს ამბავიაო“.

მთვლემავ ბუჩქებიდან, ტოტებ-გადახუტებულ ხეებ ქვეიდან არე-მარეს ემუქრება სიბნელე.

ზეცა იღუშება. მბჟუტავი ვარსკვლავები ციმციმებენ, თრთიან, კანკალებენ, შიშით არ იციან, რა ჰქნან, რომ ამ ედემ ქვეყანას ასე ურცხვათ ეპარება დასამონაებლათ სიბნელე.

აგერ... განელილ რამდენმამე ხანმა და მიდამო მთლათ მოიცვა წყვდიადმა. ვარსკვლავებმა მოუხშირეს ციმციმს, თვალებს ახამხამებენ, მწუხარების ცრემლათ იღვრებიან... არსით ისმის ხმა ადამიანისა. გაფთრებულ თეძამს, ბაყაყებსა და ჭრიჭინებს დარჩენიათ ბურთი და მოედანი...

—

დღეს, ამ კუკუმეთ ღამეში ყველა, სოფლელების ქოხებიდან როგორღაც მოალისფროთ გამოჭვივის ანთებული ჭრაქის სინათლე. ფოთოლაძიანთ კოშკის ახლო გაჩაღებულ ოთახში დიდი ფუსფუსი და სამზადისია.

ფარდაგ-დოშაკით გაწყობილ ტახტზე მოკეცილი ზის მორთული ქნარა ეფემია და დინჯათ, დარბაისლური კილოთი ბძანებას აძლევს გოგია-ბიჭს, რომელიც აგრეთვე ახალ დაგშარის ახალუხშია გამოწყობილი და კალთებ აკრეფილი რაღასაც ფოთარებს ბუხარსა და სუფრა გადაფარებულ მაგიდას ახლო...

პირ-დაღრენილ და გაქონილ ბუხარში ცეცხლის გიზგიზი, ზედადგარზე ნახევრათ სინ-დახურულ ქვაბში წყლის ჩუხჩუხი, მეორე ოთახში მეზობლიანთ ქალების კასკასი და ხან-დაზმით იქიდანვე ხან ავგარდნის დარახუნების ხმა, ხან ვარცლიდან წამოწეულ ცომის ტყაპუნი, ხან სამტკიცის ხელებში ტკაცუნ-ტკაცუნი, ყოველივე ესე რაღაც მხიარულებას ჰფენს ირგვლივ. ტახტს ახლო დაბლა იატაკზე მოუკეცია ნათლიდედა თეკლეს და პატარა ხახალზე წვანილს არჩევს; ეფემიაც, მედიდურობის კილოთი ელაპარაკება დროების გადაუკულმართებაზე, თავის ჩინოვნიკ შვილზე, წყველის იმ განათლებას, რომელიც კაცს ამორებს სოფელს, ურღვევს ოჯახს, და გახიზნულის თვისსა და ტომს სიცოცხლეს უშხამებს...

—ეჰ!.. გაიქნია ბოლოს თავი გულ-ამღვრეულმა ეფემიამ, კაბა აიკეცა მუხლებზე და ჩვრით ზეთის წასმა დაუწყო ჭია-ენდროში ახლათ შეღებილ კვერცხებს, რომლებიც ეს-ეს არი გოგია-ბიჭმა დიდი ლაგანით მოართვა ტახტზე კნეინას.

როგორა შვენის დღეს ეფემია მწვანე კუჭებიან თავსაკრავში. ტანზე აცვია, ძველებურათ შეკერილი, „მისიანი“ მუქი ყავისფერი „გლასის“ კაბა, წელზე არტყია ქირმანი შალის სარტყელი და თავზე შვენიერი თეთრი ბაღდადი ახვევია.

ტახტიდან როგორღაც ყელ-მოღერებით, მედიდურობის გამომეტყველებით გადმოიყურება ეს დალოცვილი. ცხვირი ძალ-დატანებით სასტიკათ გაუგანიერებია, ტუჩები უფრო მოუპრუწავს, გეგონებათ ზონარ მაგრა გამოწეული ნაოჭ-ასხმული ტოპრაკის პირიაო. უკბილო ღძილები მაგრა მიუჭერია ერთი-ერმანეთისათვის, რის გამო ჭაღარა ბალან-მოსხმული ნიკაპი და შეშუპებული, ბურნუთში ამოსვრილი ცხვირის ბოლო მტრულათ მიჩერებოდენ ერთი-ერთმანეთს... ჩიხტით შუბლის ტყავი ისე აეჭიმნა მაღლა, რომ ჭაღარა შერთული წარბები მოკაკულ რკალებივით გახდომოდა ეფემიას. კავების გამოწეულ ნაქეთებს ხომ უფრო მიეცათ მის სახისათვის რაღაც გაოცების გამომეტყველება.

ერთი შეხედეთ ქვეხა ძაღლსაც. დამერწმუნეთ, ესეც ბედნიერათ ჰგრძნობს დღეს თავის თავს. გაშვერილ წინა ფეხებზე კოხტათ წამომჯდარა ბუხრის შორი-ახლოს, ყურები გაუცქვეტია და ცხვირით ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ თვალების მოლულვით ჰაერსა შინჯავს... ეს-ეს არი გოგია-ბიჭმა შემოიტანა სინით ოშხივარ ადენილი შემწვარი ინდოური და მაგიდაზე დადგა. წარმოიდგინეთ, ამ ინდოურის სუნმა დაბნიდა საწყალი ქვეხა; არ იცის, რა ქნას. თუმცა შვენიერათ იჯდა, მაგრამ ვეღარ მოისვენა, დაიწყო ტოკვა, წკმუტუნი, ხან წამოვარდებოდა, ხან შეჰყეფდა. ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო, საიდანაც მოზდიოდა მადის მომგვრელი სუნი და მაკიდასკენ მიირბინა, უკანა ფეხებზე წამოჯდა, გეგონებოდათ, შეხტომას აპირებსო, მოჰყვა ხელმეორეთ წკმუტუნს, ყეფას და მაღლა აწეულ ცხვირ-პირით ხან ინდოურს გადახედავდა, ხან გოგია ბიჭს, თითქო ემუდარებოდეს: „რა არი, ადამიანო, პატარა მომიგდეო“.

— „პოშოლ!..“ ერთბაშათ დაუყვირა ეფემიამ და გოგია-ბიჭს გარეთ გააგდებინა მსუნაგი ქვეხა.

ორათ ორი რუსული სიტყვა იცოდა ეფემიამ— „პოშოლ“ და „მალჩი“, ისიც ამ ცოდნას მარტო უბედურ ქვეხაზე იჩენდა ხოლმე. შესანიშნავი იყო, რომ ძაღლს თავის დღეში ქართულათ არ დაელაპარაკებოდა ეს დარბაისელი ადამიანი, თითქო დარწმუნებული იყო, რუსულათ უფრო გავაგონებო.

— შვილო გოგი, კმარა, არ ჩაიხარშოს გოჭი, აბა, ქაფქირით ამოსწიე, ორი თითით ტყავი გაუშინჯე, თუ ადვილათ ეჩქლითება, საკმარისია ხარშვა! .

— მაიკო, ფეფო, მაშო, აი, თქვენ კი შეგირცხვათ ეგ ქალობა, რა უყავით ქადები, ნაზუქები; მალე, მალე, ჰა!.. საცაა ზარების რეკაც ატყდება.

— ნუშო, შვილო, რა იქნა გიგლა ბიჭი, აბა გაიხედე, გენაცვალოს ჩემი თვალები, იქნება იმ წუწკმა ჯერაც არ შეაბა ურემში ხარები?

— ურემი მზათ გახლავთ, ქალბატონო. თითონ გიგლაი კი იქითა ოთახის კარებში ჩამდგარა და გოგოებს ეღიჭინება. რო იცოდეთ, ქალბატონო, ახალ ქალაქურ ჩოხაშია გამოწყობილი.

— აღდგომაა, შვილო, მაშ, ამენდ, შენც აკი მორთულხარ. ამ სიტყვებით ეფემია წამოდგა, სკივრიდან ამოიღო თეთრი აბრეშუმის შალი, სუზანი, კელაპტარი და წერილი სანთლები გოგო-ბიჭებისათვის დასარიგებლათ.

— ნათლიდედ, ე ნაალი ჩააგე, გენაცვალე, ურემში, ზედ სუზანი გადაშალე და აგე ორი ბალიში რომ დევს, შიგვე მიაწყ-მოაწყე.

თეკლე გავიდა ბძანების ასასრულებლათ და ეფემიაც თან გაჰყვა შალ-წამოსხმული.

— უჰ, რა ბნელი ღამეა, დაიძახა კნეინამ და ისევ უკან შემოძუნძულდა.

გოგლი, შვილო, შენ ფარნით უნდა წამოხვიდე, გზა გაგვიკელიო, თორემ ხარები სადმე გადაგვჩეხენ... ერთი გაიხედე, რა კუკუმათი ღამეა!..

იუჰ!.. ჰენ კი გაიხარე, შვილო, რა შვენივართ მოგიხარშავს ეს გოჭი...

— მოგვაქ, მოგვაქ, ჩვენი დანამზადიც.

ერთხმათ შესძახეს ფერად კაბებში გამოწყობილმა ქალებმა და სინებით ქადა-ნაზუქები დაალაგეს სხვა-და-სხვა სანოვაგით აჭრელებულ სუფრაზე.

— მაშ, აბა, შეეუდგეთ გზას, გოგოებო თაესახვეი მოიხვიეთ, თეკლეჯან, შენ ხომ არ წამოხვალ წირვაზე, გაგვეე, დაასუფთ-ეე აქაურობა, ხომ იცი, ნათლიდედ, მოძღვარი და მთავარი ყოველთვინ ჩვენ სახლში იხსნილებენ ხოლმე... ყველანი ჩალაგდენ ურემში, გიგლა-ბიჭი კოხტათ შემოუჯდა ურმის თავს, ეტყობოდა ამ საძაგელს, რომ გოგოებს თავს აწონებდა.

— ხი მამ!.. ერთი დაუყვირა ხარებს, სახრე მოიმარჯვა და გაუდგა გზას. ხარების შორი-ახლოს ფარნით ხელში მიდიოდა გოგია-ბიჭიც...

—

ზეცა მტრედის-ფრათ იღებებოდა. ნათლით იძლეოდა მტერი, ხალხში წყვდიადათ წოდებული. იგი იქსაქსებოდა, მუქ ზოლებათ ერთხობოდა შორს, შორს, მთა-მინდორს, როდესაც გაისმა პარველათ მეტეხიდან ხვთის-მშობლის ეკლესიის ზარის ხმა.

ამ ხმას ბანი მოსცეს სასირეთის, ბარნაბიანთ-კარისა და ახალ-ქალაქის ეკლესიების ზარებმა და მოედვა საქრისტიანო მთა-ბარს ყოველ მხრივ გამახალისებელი გუგუნი. შეინძრა ხალხი... გალავანი და ეკლესია ხალხით ივსება. ყველა სადღესასწაულოთ არის გამოწყობილი, ყველას ღიმი უქრის სახეზე, რაღაც გამოუთქმელ ნეტარებას ჰგრძნობს დღეს მათი გული. სადღაა გაჭირვება, დარდი და ვარამი? ყველა განქარდა, დავიწყებას მიეცა... აჰა!.. ბედნიერი წუთი, „ტვირთ-მძიმენო და მაშვრალნო!“ თქვენც გეღირსათ წამი ბედნიერებისა, წამი ნეტარებისა. ის იყო ლიტანია თავდებოდა, როდესაც ჭიის კართან გაჩერდა ფოთოლაძიანთ ურემი.

უნდა გენახათ, რა ქვივილ-ხვივილი შეუდგათ გოგოებს, როდესაც დაინახეს გაკაშკაშებული ეკლესია და მიდამო ეკლესიისა ანთებული სანთლებით ხელში ხალხით მოფენილი. ისე გაერთენ ამ სანახაობით, რომ კნეინაც კი მიავიწყდათ ურემში.

— სად მიხვალთ, გოგოებო, ახლა აღარ გადმომიყვანთ?..

— უი, ჩემს თვალებს! აქა-იქ შეჭყიელეს გოგოებმა, მარდათ მიირბინეს ურემთან, გადმოიყვანეს კნეინა, კელაპტარი აუნთეს, თითონაც ანთებული სანთლები მოირიგეს და ეკლესიისაკენ გასწიეს. გზაში ხალხი დაბლა თავის დაკვრით უხვდებოდა კნეინას.

ის იყო, ეფემია შევიდა ეკლესიაში, და ღედელმა პირველათ შესძახა ხალხს:

— „ქრისტე აღდგა!“

— „ჭეშმარიტათ!“ გრგვინვასავით გაისმა პასუხათ.

ᲙᲝᲬᲘᲐ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲒᲐᲖ. „Нов. обоз.“-ის (№ 4199) ქუთათური კორესპონდენტი გვატყობინებს შემდეგ საყურადღებო ამბავს. როგორც ვიცით, 1894 წლიდან ქ. ქუთაისში არსებობს საურთიერთო ცეცხლის დამზღვეველი საზოგადოება. 14 მარტს მომხდარა საზოგადო კრება ბ. მ. ქიქოძის თავმჯდომარეობით. პირველათ კრებაზე წაუკითხავთ ანგარიში, რომლიდან ჩანს, რომ 1895 წ. დაუზღვიათ 125 მამული, ღირებული 354,350 მანეთათ; საზოგადოების დაარსებიდან სულ დაუზღვიათ 257 მამული, ღირებული 970,750 მანეთათ. შემდეგ გამგეობამ მიმართა კრებას: რომ უფრო უზრუნველყოთ მამულის მეპატრონენი მოულოდნელი დიდი ზარალისაგან და მიეიზიდოთ საზოგადოებაში დამზღვეველნი, სასარგებლო იქნებაო, ჩვენი დამზღვეველი საზოგადოება გახდეს წევრი პენზის დამზღვეველ კავშირისა (Пензенскій союзъ), რომლის ხელშეკრულობა შემუშავებული იქნა ივლისში 1895 წ. და რომელსაც აქვს ძალა სამი წლის განმავლობაში. ამ ხელშეკრულობის ძალით თვითეული დამზღვეველი საზოგადოება ხდება მოკავშირეთ და თავის საკუთარი საქმეების მართვაში სრული თავისუფალია, ხოლო სარგებლობა ამნაირი შეკავშირებისა იმაში მდგომარეობს, რომ თუ მოკავშირე საზოგადოებას დიდი ზარალი მოუვიდა, მაგ. 20,000 მანათამდის, იმ შემთხვევაში 3,306 მანეთის მეტს არ გადიხდის, დანარჩენი 16,694 მ. კი დაიყოფება სხვა მოკავშირეებს შორის, იმის დაკვალათ, ვინ რამდენს იხდის წლიურ საწევრო ფულსა.

ამის და-გვარათ ქუთაისის დამზღვევმა საზოგადოებამ წლიურათ უნდა შეიტანოს ხოლმე 230 მ. კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა პენზენის კავშირში მონაწილეობის მიღება.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბორჩალოს მაზრის მარშალი თ. გ. დ. აბხაზი შედგომია ახტალის ქართუ-

ლი ტაძრის განახლებას და ამის გულისთვის სასულიერო მთავრობის ნებადართვით ფულებს კრეფს.

***

ჩვენ მოგვეიდა ტარუაშვილის მიერ გამოცემული გოთიური დედანი; თითო დედანი ღირს შაურათ.

***

ჩვენ მოგვეიდა მ. გ. ჯანაშვილის მიერ გამოცემული წიგნი „შოთა რუსთაველი". ეს წიგნი ფრიად საყურადღებოა მკითხველთათვის, რადგან მასში დაგროვებულია თითქმის ყველა მწერლების აზრები, ვისაც კი ჰქონია ვეფხის ტყაოსანზე მსჯელობა. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით უფრო ვრცლათ ამ საგანს. წიგნი სუფთათ არის გამოცემული და ღირს ორ აბაზათ.

***

პოლიციის უწყებიდან ვეტყობილობთ, რომ გასულ წელს ქ. თფილისში 27 მკვლელობა მომხდარა (23 კაცისა და 4-ი ქალისა), თავი მოუკლავთ 25 (20 კაცს და 5 ქალს), უეცრივ მომკვდარა 15 კაცი და 6 ქალი, მთვრალობის გამო 6 კაცი და 3 ქალი, გაუგებარი მიზეზის გამო—5 კაცი და 2 ქალი, უნახავთ 7 კაცი მკვდარი და 1 ქალი; შემთხვევით მომკვდარან: გაჭყლეტილა და ჩამოვარდნილა 20 კაცამდე, დამწვარა 2 ქალი, დამხჩვალა 18 კაცი და 4 ქალი; გამოურკვეველ მიზეზის გამო მომკვდარა 10 კაცი და 1 ქალი. სულ ძალდატანებით და სხვადა-სხვა ხიფათის გამო გადაცვლილა 127 კაცი და 28 ქალი. საერთო რიცხვი მკვდრებისა ქალაქში გასულ წელს იყო 3,112, რომელთაგან 1,787 კაცია და 1,325 ქალია. („Кавказъ").

***

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება აცხადებს, რომ ამა წლის აპრილის თვიდან, გამოვა ორ-კვირეული გამოცემა: „სახალხო ჰიგიენური ფურცელი (Популярный Гигіеническій Листокъ) სამ ენაზე: რუსულზე, ქართულზე და სომხურზე. გამოცემაში იქნებიან მოთავსებული, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი სტატიებიც, სხვა-და-სხვა რეფერატები, კორესპონდეციები და სხვ., ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც შეეხება სახალხო სიმთელეს, ეპიდემიას, ენდემიას, ეპიზოოტიას და სხვ. უპირველესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზე, თუ რა გვარი მავნებელ ჩვეულებანი და აქიმობის საშუალებანი არსებობენ ხალხში. „ფურცლის" რედაქტორებათ ითვლებიან ექიმები: პავლოვსკი, გადომსკი, ბაბაევი, არწრუნი, ვაწაძე და ელიაშვილი. სტატიები გაიგზავნება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, д-ру А. А. Повловскому.



საყურადღებო ამბები.

. საჩხერე. წელს იმ ხელა თოელი მოვიდა ქუთაისის გუბერნიაში, რომ მგონია მოსმწრეც იშვიათი იქნება. ამ თოელმა მეტის მეტათ შეაწუხა დაბა-სოფლების მცხოვრებლები, რომელთა რიცხვში მოხდა ეს ჩვენი დ. საჩხერეც; აქ 16 იანვრიდან თებერვლის 4-ს რიცხვამდის განუწყეტლივ სულ თოვდა და დაყარა თოელი ცხრა მტკაველზე მეტი; აბა, იფიქრეთ, რა გაჭირვებაში ჩავარდებოდა მცხოვრებლები? აქ ზამთარი არ იცის ისე სუსხიანი, როგორც სხვა საქართველოს კუთხეებში და ამის გამო ხალხი სულ მოუმზადებელი შეხვდა ჩვენდა მოულოდნელ ზამთარს, ბევრი იმისთანა მოსახლე დარჩა, რომ სამ სამი დღის სარჩოც არა ჰქონდა რა, არა თუ ერთი თვისა და მეტის მომარაგებული. მე აქ ვახსენებ შეძლებულებს და არა ღარიბ-ღატაკებს, რომელნიც ამისთანა შემთხვევის დროს კი არა, ისეთაც სხვისი ხელით იკვებებიან. პურის და მეტადრე შეშის სიძვირემ სულ მთლათ გაათხელა მცხოვრებლების ჯიბეები; გათხელებას და გაკარიელებას ვინღა ჩივოდა, რომ დიდი თოელის გამო გასაყიდიც ბაზარში არვის შემოქონდა. მახლობელ სოფლებში ისე დაიკეტა გზები, რომ წისქვილამდის ვერ მიდიოდენ და მარტო სიმინდის კაკლის ხარშვით ინახავდენ თავს მთელი ორი კვირის განმავლობაში; ამ მდგომარეობაში შინაურ პირუტყვს აღარ ზოგავდენ დასაკლავათ. გზებზე სულ ყოველ დღე ზვავი ჩამოდის და თან-და-თან ხდება. ფოშტა აგერ ორი თვე გადის, რაც არ მიგვიღია და არ ვიცით, ქვეყანაზე რა ამბავი ხდება.

უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, სწორეთ ისე ითქმის ახლა ამ ჩვენ დაბა საჩხერეზე. ორი სამი თვე იქნება რაც ბატონმა ი. გამ—ძემ იყიდა ბილიარდი და დადგა თავის შენობის ქვედა სართულის სადუქნე ოთახში, რომელიც მიემგზავსება ღარიბი-კაცის ცხენების თავლას, ასე რომ არც ჰერი და არც იატაკი არ მოეძევა, კედლის ფიცრები ისე არის დაშორებული ერთი-ერთმანეთისაგან, რომ გო-

ჯის ოდენა სისქე ფიცარი მათშუა თამამათ გაეტევა, ამას გარდა მეტის-მეტი სიბინძურეა შიგ ოთახში. პირველათ მიიჩვია ხალხი უფულოთ თამაშობით და დროის გატარებით, ახლა კი ბაქიც დაადეა ზედ, ასე რომ თითო თამაშში 5—20 კაპ. გაჩინა. მაგრამ რა ხალხი მიეჩვია და გავარჯიშდა თამაშობაში, თვითონაც ამ ფულის სიძვირეშიაც ვერ ანებებენ თავს: მაგალითათ, კაცი გამოვიდა ბაზარში შეშის ან სხვა რისამე საყიდლათ, იმას ავიწყდება თავის დანიშნულება და ოჯახის მდგომარეობა, მიდის იმ საბილიარდო ოთახში, იწყებს თამაშობას, აგებს იმ ორ გროშს, რომლითაც უნდა ეყიდა რამე ოჯახისათვის ⁊ ბრუნდება სახლში გულ დაწყვეტილი, მერმე კი იწყებს ჯავრობას, მაგრამ რას გახდება, ნათქვამია სიკეთილის შემდეგ სინანული გვიან არისო; ასე რომ დილას შებძანდეთ ნახავთ იმ ოთახს ხალხით სავსეს, რომელიც შედგება ბაზრის მცხოვრებლებისაგან, ე. ი. ვაჭრებისაგან და რომელთა აქეთ ფიქრათ გუშინდელი მონაგები ფული გაეორკეცოთ, მაგრამ ბრუნდებიან თავიანთ დუქნებში ჯიბე-ცარიელნი; საღამოს კი ამ კაცებში იქნება გარეული ადგილობრივი დაბალ ხარისხის მოსამსახურე პირნიც, რომელნიც ღებულობენ რამოდენიმე თუმანს ჯამაგირს და იმითი სულს იბრუნებენ, იწყებენ თამაშობას, აგებენ იმ ორ გროშსაც და მერმე კი ჯიბე ცალიერი დაწანწალობენ ბაზრის ქუჩებზე. ერთმა ამთგანმა კინაღამ დაკარგა ადგილი სამსახურში. ამისთანა მოგებით სუყოველ თვის იგებს თვითონ ბილიარდის პატრონი, იფიქრეთ თითო თამაში 5—20 კაპ., საათში ათი მაინც ითამაშებს ეს ხომ ორი მანეთი და ამას გარდა თვითონაც კარგათ თამაშობს, ასე რომ ამ ცოტა ხანში ბევრმა მიაბარა შესანახავათ თავისი ჯიბე, მაგრამ როდის დაუბრუნებს, ის კი ღმერთმა იცის.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, ვინ საჩხერე და რა ბილიარდი და იმაზედ თამაშობა. მესმის დიდ ქალაქებში სადაც ხალხი აბრუნებს ათას და ასიათას თუმანს, იქ არაფერია რომ ბილიარდი კაცმა დადგას და ითამაშოს, მაგრამ აქ, სადაც ხუთ მანეთზე მეტი იშვიათათ ექნება მოთამაშეს ჯიბეში?.. ფუ, დაწყველოს ღმერთმა ამისთანა ადგილას ბილიარდზე თამაშობა! ამისთვის ძრიელ კარგს იზამს ბატონი ი. გ—ძე, რომ ამ ფულის მახეს მოშლიდეს, ურომლისოთაც მცხოვრებლები მეტათ დაცემული არიან სიღარიბით.—

—ქვეშოური.

*
* *

სად. განჯა. ეს სადგური სწორეთ რომ შესამჩნევათ იზრდება; იზრდება როგორც ქონებრივათ, აგრეთვე გონებრივათაც. ქონებით გაზრდა ერთი მხრით იმითაც ჩანს, რომ აქ კლუბი დააარსეს. ამ კლუბს აქვს რამდენიმე ნაკლულევანება, რომელიც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ: ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ კლუბის დაარსებით მოკვეცილ-ოდა საშვალება ერთათ შეეგროვილიყავით ჭკუა-გონების სავარჯიშოთ. მაგ. სალიტერატურო ⁊ მუსიკალურ საღამოებს გავმართავდით, ხშირათ გვექნებოდა წარმოდგენები ქართულ და რუსულ ენაზე, ლექციებს წაგვიკითხავდენ სხვა-და-სხვა საჭირო და სასარგებლო საგნებზე და სხვა...

მერე მივაღწიეთ ამ მიზანს? რა მიზანი, რის მიზანი, სხვაგან სად მიუღწევია კლუბს ზემოხსენებულ მიზნისათვის, რომ აქ მიეღწია? სამაგიეროთ მიდიხართ კლუბის დარბაზში და თქვენ წარმოგიდგებათ შემდეგი სურათი: ერთ ოთახში მწვანე მაუდიან მაგიდას გარშემო შემოსხდომიან ბანქოს მოტრფიალენი. ახლა მეორე ოთახში მიდიხართ და შორიდანვე გესმით ლოტოს ციფირების გადამახინჯებული რუსული ამოკითხვა ;ამ დროს გატარებას მოსდევს ეახშამი. აი რას მოველოდით და რა შექერჩა ხელში. ეს კიდევ არ გვაკმარეს და ახლა გაიძახიან: ათას ხუთას მანეთიანი ბილიარდი უნდა გამოეწეროთო. მერე მაშინ, როდესაც, ერთი გაზეთი რა არის, ისიც კი არ გამოგვიწერია. რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს კაცმა? იმეოია, ამ საქმის მოთავენი არ დაივიწყებენ სხვა ამხანაგებს, რომლებსაც ბანქოს თამაშობის ნაცვლათ უფრო საჭიროთ მიაჩნიათ ჭკუა-გონების ვარჯიშობა. ბევრი ჩვენგანი ამ კლუბის ანაბარას არა ვართ: გვაქვს ორი სამკითხველო - წიგნთ-საცავი. აქ საკმაოთ მოიპოვება, როგორც რუსული, ისე ქართული ჟურნალ-გაზეთები; კერძოთაც ბევრს მოუდის სხვა-და-სხვა დრო გამოშვებითი გამოცემანი.

ჩვენში უფრო შესანიშნავი და თვალ-საჩინო არის ამ დღეებში დაარსებული და მთავრობისაგან ნებადართული საღამოობით უფასო სწავლა რკინისგზის მოხელეთათვის. ნათქვამია: „ერთი ჭირი მარგებელიაო“ და სწორეთ ამნაირ ჭირათ გამოდგა ზემოხსენებული კლუბის დარბაზი ამ საგნისათვის. საღამოს 6 საათიდან რვამდინ შვენიერ სურათს წარმოადგენს კლუბის დარბაზი: მაგიდას შემოსხდომიან ოთხმოცამდე სწავლა-განათლების მსურველნი, რომელნიც გულ-მოდგინეთ სწავლობენ. სწორეთ დიდი მადლობის ღირსი არიან ამ საქმის მოთავენი.

განჯელი მეოცნებე.

შენიშვნა.

ბ. იერ. გულისაშვილის „ლია წერილმა დრამატიული საზოგადოების გამგეობისადმი („ივერია“ № 20) ერთი ამბავი მომაგონა, რომელიც საჭიროთ მიმაჩნია ვაცნობო მკითხველ საზოგადოებას. ამ რამდენიმე წლის წინათ ქ. ბათუმში მომიხდა ყოფნა, სადაც, სხვათა შორის, გავიცანი ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, გვარათ ხაინდრავა, რომელსაც ბათუმის სცენის მოყვარეთა შორის პირველი ადგილი ეჭირა და იმედებს იძლეოდა, როგორც მსახიობი. ხაინდრავა ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც დრამატურგიც: მაშინ ორი პიესა გაეგზავნა კიდეც დრამატული კომიტეტის თავმჯდომარისთვის და მესამესაც წერდა. მე თვითონ ხაინდრავას პიესები არ წამიკითხავს, ხოლო ეს-კი ცხადათ მახსოვს, რომ გაზ. „ნოვ. ობ.“-ში, რომელიც ყოველთვის სიამოვნებით აღნიშნავს ხოლმე ყოველ ახალ მოელენას ჩვენს მწერლობაში, ქებით იყვენ მოხსენებული ხაინდრავას პიესები! კომედია „ვაი ვახთაიას!“ და დრამა „ლუარსაბ აფაქიძე“ დიახ, ქებით იყვენ მოხსენებული და, უეჭველია, ყოველ ქართველისთვის საინტერესო იქნებოდა ამ პიესების სცენაზე ნახვა. მარა მასაქეთ აგერ მეექვსე წელიწადია და ამ პიესების სახსენებელიც კი აღარსად არის. იტყვიან, იქნება, „ნოვ. ობ.“-ემ ახალგაზდა ავტორის გასამხნევებლათ შეაქო პიესები, თვარა წარმოსადგენათ არ ვარგოდენო. შეიძლება, ასეც იყო (თუმცა დაუჯერებელია ყოველს ღირსებას მოკლებული პიესები ისე ექო „ნოვ. ობ.“-ს), მარა ვინ გამოცადა ისინი, ვინ წარმოადგინა, ვინ ნახა და განსაჯა?.. ერთხელ მაინც რომ წარმოედგინათ, საზოგადოებას ენახა და არ მოეწონებია, კრიტიკასაც დაეწუნებია, კიდევ ჰო, მარა ეს რომ ასე არ ყოფილა და პიესები მაშინვე სადღაც გადაკარგეს!.. საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი თეატრის საქმე: მის მაგიერ, რომ სანთლით ეძებდენ ჩვენი ცხოვრებიდან აღებულ, ორიგინალურ პიესებს, რომელნიც თითქმის სრულიათ არ მოიპოვებიან ჩვენ თანამედროვე რეპერტუარში, როცა შემთხვევით ხელში ჩაიგდებენ, მაშინაც კი სადღაც მიმალვენ და, თუ იერ. გულისაშვილს დაეუჯერებთ, წაკითხვითაც კი არ კითხულობენ ხოლმე. მოსალოდნელი იყო, დრამატიულ საზოგადოების განაწილებული გამგეობა მაინც მიაქცევდა ყურადღებას ამ საქმეს და, ახალ რასმე შეიტანდა ჩვენს რეპერტუარში, მარა ასე არ მოხდა. მართალია, სეზონის დასაწყისში შეგვპირდენ ახალი ორიგინალური პიესების დადგმას, მაგრამ სეზონი გათავდა კიდეც და დაპირება არ გაუმართლებიათ. ენახოთ, შემდეგში როგორ მოიქცევიან!.. დასასრულ ორი სიტყვა თვით ბ-ნ ხაინდრავაზე: საბრალო ახალგაზდამ გამუდმებული უსიამოვნო შრომით თავმობეზრებულმა ერთ ერთ ბათუმის ქარხანაში, თავი თაანება თურმე ამ უკანასკნელს და სხვაგან წავიდა ბედის საცდელათ. უნდოდა თბილისში შესულიყო ქართულ სცენაზე, მარა ეს ვერ მოახერხა თურმე და ბაქოში წავიდა, სადაც მოუსწრო ხოლერობამ და, როგორც ამბობენ, იმსხვერპლა კიდეც ამ საშინელმა სენმა... კარგი იქნებოდა, ვინც ნამდვილათ იცის საბრალოს ბედი, აცნობებდეს მკითხველ საზოგადოებას!..

დუტუ მეგრელი.

მეცნიერება გაკოტრდა, თუ მეტაფიზიკა?

(ბრიუნეტიერის დაცვის გამო ჩვენში)



ᲔᲕII-დე თავი სტატიისა: „ცხოვრება და ხელოვნება“ [1]) „ივერიის“ პუბლიცისტმა, ბ. კიტამ, უძღვნა საფრანგეთის „გამოჩენილ კრიტიკოსის“, ბრიუნეტიერის, დაცვას. ქართველ მკითხველს, რომელიც ბ. კიტასაგით არ არის გათანიშებული უცხო ქვეყნების მწერლობაში, დაებადება შემდეგი კითხვა: ვინ ბძანდება ეს ბრიუნეტიერი, და რით დაიმსახურა მან „გამოჩენილი კრიტიკოსის“ და „ნიჭიერი მეცნიერის“ სახელი? ბ. კიტა ზემო აღნიშნულ წერილში იძლევა რამდენიმეთ პასუხს ამ კითხვაზე. ჩვენც ვისარგებლებთ ამ პასუხით, ე. ი. იმით, რასაც ბ. კიტა გვაძლევს, რომ თვით ამ უკანასკნელის ნათქვამითვე მოკლეთ დავახასიათოთ ბრიუნეტიერი და ამასთანავე, ამ გარემოების გამო, რამდენიმე მოსაზრებანიც წარმოვთქვათ.

პირველათ მკითხველს უნდა ვაცნობოთ, რომ ბრიუნეტიერს აქ ვეხებით ჩვენ, ისე როგორც ბ. კიტა, არა როგორც კრიტიკოს, არამედ როგორც ფილოსოფოსს, ანუ, უფრო მართლათ რომ ვთქვათ, როგორც მეტაფიზიკს. საქმე იქიდან იწყება, რომ წასული წლის „Revue des deux Mondes“ ის პირ-

---

[1]) იხ. ამ წლის გაზ. „ივერია“ №№ 42 და 43. სტ. „ცხოვრება და ხელოვნება“. ამ ნაირი სათაურით მოგვაწვდის ბ. კიტა, უმეტეს ნაწილთ, იმ რომანების შინაარს, რომლებიც არიან ნაყოფნი საფრანგეთის მაღალი ბურჟუაზიის მოდუნებული ცხოვრებისა.

ველ ნომერში ბრიუნეტიერს, მას შემდეგ, რაც მან რომში პაპისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო, დაუბეჭდია წერილი: „მეცნიერება და სარწმუნოება“. თვით ეს სტატია, როგორც ამავე ბრიუნეტიერისეე მეორე სტატია: „ეოლიუციონური სწავლის ზნეობრიობა (La moralité de la doctrine évolutive [2]) ჩვენ არ წაგვიკითხავს; და ჩვენი მიზნისათვის ეს არც დიდ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ბ. კიტამ გაისარჯა და საკმარისათ გაგვაცნო ამ წერილების შინაარსი; მეორე მხრით, ჩვენ შემთხვევა გვქონდა გავცნობოდით ბრიუნეტიერის სწავლას ერთი ახალი დაარსებული დრო-გამოშვებითი გამოცემის შემწეობით [3]); ამ გამოცემაში იყო მოთავსებული სტატია: „ბ. ბრიუნეტიერის ეოლიუციონური მეტაფიზიკა“ (La métaphysique évolutioniste de M. Brunetiére), რომელიც ეხება ბრიუნეტიერის მეორე წერილს, ე. ი. „ეოლიუციონური სწავლის ზნეობრიობას“, და სწორეთ იმ მხარეს აქცევს უფრო ყურადღებას, რომელიც ბ. კიტას თითქმის სულ უყურადღებოთ გაუშვია. „De devenir social“-ის სტატიის ავტორი, ბ-ნი ბ., მოკლეთ განმარტებს ბრიუნეტიერის შეხედულებას თანამედროვე მეცნიერებაზე, და რადგანაც ბრიუნეტიერის და მის თაყვანისმცემთა სასროლ ნიშნათ ეს უკანასკნელი, ე. ი. მეცნიერება, გამხდარა დღეს, ამიტომ ჯერ-ჯერობით დავტოვოთ მეცნიერების „გაკოტრება“, რომელიც ბრიუნეტიერის პირველი წერილის საგანს შეადგენს, და გადავიდეთ პირდაპირ იმაზე, თუ როგორი შეხედულება შეუქმნია ბრიუნეტიერს ბუნებაზე და მის მეცნიერებაზე. ამისათვის ჩვენ ვისარგებლებთ „de devenir social“-ის დასახელებული სტატიით.

I

თავდაპირველათ „de devenir social“ის სტატიის ავტორი აღნიშნავს, თუ რა შეხედულების არის ბრიუნეტიერი დარვინის და ჰეკელის წინადადებებზე და ამისათვის მოყავს მისივე სიტყვები. „ადამიანის წარმოდგომა და ბუნებითი ისტორია შექმნისა, ამბობს ბრიუნეტიერი, თუ მათ ნამდვილ სახელს ვუწოდებთ, შეადგენენ მხოლოთ მეცნიერულ რომანებს, არ არის დამტკიცებული, რომ ცხოველთა ჯიშნი იცვლებიან, და უმეტესათ არც ის, თუ ისინი გადაიქმნებიან. არ არის დამტკიცებული, რომ ადამიანი წარმოდგება ცხოველიდან. [4]) მაშასადამე რაღა არის ეოლიუციონური მოძღვრება? ეს უბრალო ჰიპოტეზაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ეს მეთოდია. ეს არის საშუალება, რომლის მეოხებით ჩვენ ვაგროვებთ და რიგ-რიგათ ვყოფთ ფაქტებს და იდეებს, რომლებიც უამისოთ ხელიდან გამოგვისხლტებოდენ და დაგვიცინებდენ ჩვენი აზროვნების სისუსტეს“. ამ ნაირი აზრისაა ბრიუნეტიერი აწინდელი ეოლიუციონური მოძღვრების შესახებ, და მართლა რომ ეს ასე იყოს, როგორც ბრიუნეტიერი ამბობს, აწინდელი მეცნიერება მეცნიერულ რომანებს კი არა, უფრო სასაცილო რამეს წარმოადგენდა. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ სრულებით არ ვთლით საჭიროთ, რომ ამნაირ ხეპრულ შეხედულების დარღვევას გამოეუდგეთ აქ; ჩვენთვის ეს მიუწდომელიც იქნება; და მეორე მხრით, აწინდელი მეცნიერება, ვინც-კი იმას შეიგნებს ჯეროვანათ, განა ყოველნაირი ბრიუნეტიერისებრივი შეხედულებათა გამაქარწყლებელი არ არის?

მაგრამ საფიქრებელია ის, თუ რისთვის დაჭირდა ბრიუნეტიერს თავის ხეპრული შეხედულების გამოქვეყნება, საფიქრებელია მით უფრო, რომ თითონ იგი მიმართავს ეოლიუციონურ მოძღვრებას და ცდილობს გამოიყენოს ეს უკანასკნელი თავის წინათვე შედგენილი მიზნისათვის. ამას ახლავე დავინახავთ. ბრიუნეტიერი ამბობს, რომ „არსებითათ და თავის საფუძველში ეოლიუციონური მოძღვრება არის მხოლოთ ტელეოლოგია [5]) და ორგანიზაცია. შესაძლებელია მხოლოთ მიდრეკილების, ლტოლვილების (finalité) იდეიის საშუალებით“. ხოლო ამნაირი შემოტრიალება იარაღისა საჭირო იყო ბრიუნეტიერისთვის, რომ მას გარკვევით წარმოეთქვა შემდეგი: „თუ სასტიკი და გაუგებარი მეხანიზმის წინააღმდეგ, რომელსაც თანამედროვე თავისუფალი აზროვნება დიდი ხანია შეურიგდა, ეოლიუციონურ მოძღვრებამ ვერ დაამტკიცა განგების არსებობა, ის კია ცნობილი მაინც, რომ ეს მოძღვრება ამ განგების არსებობას შთაგვაგონებს“ (suggère). ყოველივე ეს იმიტომ, რომ ამ განგებამ „წარმოშობოს მოძრა-

[2]) იხ. Revue des deux Mondes, 1895, მაისი.

[3]) ჩვენ გამბობთ გასულ წელს პარიჟში დაარსებულ გამოცემაზე: „Le devenir social. Revue internationale d'économie, d'histoire et de philosophie“. მიკვირდა ამ ჟურნალის ყურადღებას ამ შესანიშნავ გამოცემაზე.

[4]) თუმცა იგიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თავის პირველ წერილში („მეცხიერება და სარწმუნოება“) ბრიუნეტიერი გაბაჯრით ამბობს, თუ ბ. კიტას დაუჯერებთ, რომ ჩვენ მაიმუნებიდან მოვმდინარეობთო. (იხ. „ივერია“ № 42).

[5]) ბერძნული სიტყვა და ნიშნავს სწავლას მისწრაფებაზე, მიზნეულობაზე.

ვი (mobile) და გონიერი წესი". აქედან დასკვნა: მაშასადამე ყოველივე მოვლენა ბუნებაში „წინ-და-წინვეა განსაზღვრული". ამაში მდგომარეობს ბრიუნეტიერის ევოლიუციონური მეტაფიზიკა. რა არის აქ ახალი? განა ყოველივე ამ გვარ მეტაფიზიკურ ნახტომებმა დიდი ხანია არ დაკარგეს თავისი ყოველგვარი არსებითი მნიშვნელობა? მაგრამ საქმე ის არის, რომ ბრიუნეტიერმა იხმარა აქ ერთნაირი ზომა, რომლის მეოხებით ადვილათ შესაძლებელია მრავალ გზა-და-კვალ დაბნეულთა მოხიბლვა და გარეტიანება. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ბრიუნეტიერმა მოინდომა და, მისი ჭკუით, კიდევაც შეასრულა, მეტაფიზიკუ-

აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარო, გულით წმიდით ვეგებებით, დიდება შენდა!

რი ძონძისათვის ევოლიუციის სარჩული დაედება. იკითხავთ, ნუ თუ ამით ძონძმა დაკარგა თავისი ძონძური თვისება? სრულებითაც არა. თუ კიდევ უფრო არ გამოაშკარავდა ეს უკანასკნელი თვისება. ასე მოუვიდა ბრიუნეტიერის ევოლიუციონურ მეტაფიზიკას. ამასთანავე გამომჟღავნდა კიდევ ერთი ბრიუნეტიერისათვის არა სასიამოვნო გარემოება.

თავის ტელეოლოგიური პრინციპების გასამართლებლათ ბუნებაში ბრიუნეტიერი ემყარება შესანიშნავი ფიზიოლოგ-ფილოსოფოსის, კლოდ ბერნარის, ავტორიტეტზე. „განა კლ. ბერნარმა არ განსაზღვრაო — ამბობს ბრიუნეტიერი — ევოლიუცია, როგორც განვითარება, ცვალებადობა, რომლის საზღვარი წინდაწინვეა დადგენილიო?" და აქვე ლაპარაკობს ბრიუნეტიერი ჯიშთა განვითარებაზე. მაგრამ ამნაირი აზრი კლ. ბერნარზე ნიშნავს მხოლოთ იმას, რომ ბ. ბრიუნეტიერს ვერც ის გაუგია, რასაც კლოდ ბერნარი მოძღვრებს და ვერც ევოლიუცია.

ევოლიუცია, განვითარება, არის ორნაირი: ევოლიუცია ცალკე ინდივიდისა, განუყოფელ არსებისა, და ევოლიუცია მთელ მოდგმათა, ჯიშთა, საზოგადოთ მთელ ბუნებაში. მაშინ როცა პირველ გვარი ევოლიუცია ე. ი. განვითარება ცალკე ცოცხალი ინდივიდისა, ჩვენ თვალ-წინ ხედება და შესაძლებელია მისი დაკვირვება, შესწავლა, და, მაშასადამე, მისი განვითარების საზღვრის წინდაწინვე დადგენა, რასაკვირველია, განსაზღვრულ პირობებში, განვითარება მოდგმათა, ანუ ევოლიუცია საზოგადოთ მთელ ბუნებაში კი, ძლიერ ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს, ჩვენდა შეუმჩნეველათ; ამიტომ აქ შეუძლებელია წინდაწინვე განსაზღვრა და დადგენა იმ საზღვრისა, რომელსაც მიახწევენ თავის განვითარებაში მთელი მოდგმანი და ჯიშნი. როცა ბრიუნეტიერი ამბობს, რომ კლ. ბერნარმა განსაზღვრა ევოლიუცია, როგორც მიმდინარეობა, რომლის საზღვარი წინდაწინვეა დადგენილიო, მაშინ მან დაიეიწყა, რომ არსებობს ორგვარი ევოლიუცია, და ცნობილ ფიზიოლოგს მხოლოთ ერთი ჰქონდა მხედველობაში, ე. ი. ცალკე ინდივიდის, განუყოფელი არსების, ევოლიუცია, და არა მთელი ბუნებისა. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მხოლოთ მისი შესანიშნავი თხზულების „Leçons sur les phénomèes de la vie"-ის გაცნობა, რომელშიაც იგი უარს ჰყოფს იმ შეხედულებას, ვითომც ბუნებაში არსებობდეს მიუწდომელი მიდრეკილება და მიზნეულობა. ეს მხოლოთ ჩვენი მშრალი გონების ნაყოფიაო. ყოველგვარ ამ ნაირ სურვილს ვიმეორებთ, კლ. ბერნარი მეტაფიზიკის სახელით კიცხავდა. კლ. ბერნარმა კარგათ იცოდა, რომ ნამდვილი მეცნიერების სამფლობელო დამოკიდებულია თვით ექსპერიმენტალური მეთოდისაგან: იქ, სადაც ცელილების პირობები შესაძლებელ არს, რომ სასწორით განსაზღვრულ იყვენ, არსებობს ექსპერიმენტალური დეტერმინიზმი (აუცილებლობა) და მასთანვე არსებობს მეცნიერებაც. მეცნიერება სრულებით არ მიდევს საგნების თავის თავათ (an sich) გაცნობას; ის ცდილობს მხოლოთ განსაზღვროს და გამოარკ-

ეოს ურთიერთობა მათ შორის. მეცნიერება არ იღებს განცალკევებით ერთ რომელსამე საგანს, ან მოვლენას; არა, ის იქცევა ისე, როგორც თვით ბუნება: ბუნებაში არ არის ცალკე საგანი, ანუ მოვლენა; აქ ყოველივე საგანი, ყოველივე მოვლენა ერთი მეორეზეა გადაბმული. ამიტომაც, თუ რომელიმე საგნის, ან მოვლენის გაცნობა გვსურს, უნდა გავიგოთ ერთი საგნის, ანუ მოვლენის მეორესთან დამოკიდებულება, მათი ურთი-ერთობა. ამნაირია ნამდვილი მეცნიერების მეთოდი. სულ სხვანაირათ იქცევა მეტაფიზიკა. ეს უკანასკნელი ყოველთვის იღებს განცალკევებით ერთ რომელსამე საგანს, ერთ რომელსამე მოვლენას, თავის თავათ an sich და ცდილობს გაიგოს იგი დამოუკიდებლათ სხვა საგანთან, ან სხვა მოვლენასთან. და რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში მეტაფიზიკს თვით მოვლენა, რომელიც მუდამ ერთი და იგივე არ არის, ხელიდან უსხლტება და მხოლოთ მისი გამონაშუქები, მის მიერ აღძრული შთაბეჭდილება, ურჩება, რომელსაც შემდეგ საგნის არსებათ ანუ იდეათ ხდის. ხოლო ამნაირი არსება, ანუ იდეა ყოველ გვარ მნიშვნელობას მოკლებულია მეცნიერულათ, რადგანაც აქ არ არის ღაცული უპირველესი და უმთავრესი პირობა მეცნიერული განსაზღვრისა, სახელდობრ: გასინჯვა მოვლენათა ერთი მეორესთან დამოკიდებულებაში და ურთიერთობაში. ხოლო რადგანაც ეს ურთი-ერთობანი მუდამ იცვლებიან, ამიტომ ამ ცვლილებათა პირობების სისწორით განსაზღვრა შეადგენს იმ პირობას, ურომლისოთაც მეცნიერება შეუძლებელია.

ფ. მასარიკი.

(შემდეგი იქნება)

***

განთიადია... აღმოსავლეთი,
ფერად სამოსით გარს იმოსება,—
შემკრთალი მთვარე დასავლეთისკენ
მთების ჯურღმულში მიიპარება.

—

გაღვიძებული ცელქი ნიავი
ხისა შტოებსა ეთამაშება:
ხან შემკრთალ ფოთოლს კოცნას მოსტაცებს,
ხან კი ნაზათ მას გაებუტება.

—

ბუნება ჩქარობს პირის დაბანას:
მზის დასახვედრათ ის ემზადება,
და მის ნაბანი მაცოცხლებელათ
მცენარეებსა თავზე აღნება!

—

ჭალამ გამოსცა ყაუცხოვო ხმა,
ტოროლა სტვენით ცაში ავარდა;
აგერ ისკუპა ტყიდან ირემმა,
ტრიალ მინდორზე გაინავარდა.

—

აგერ ფუტკარი ბზუილით მიჰქრის
სანთლის და თაფლის მოსაგროვებლათ,
აგერ ბუჩქზედა შეფრინდა შაშვი
სალოცავათ და საგალობელათ.

—

ბუნება ხარობს, ბუნება გალობს...
მხოლოოთ შავი კლდე, ქედ წაღუნული,
ღაბა-ღუბითა ცრემლებსა აფრქვევს
თავ-ჩაღუნული, ჩაფიქრებული.

—

ელის მზის სხივებს, რომ მათ შეუშრონ
გადმოხეთქილი ცრემლთ ნაკადული,
გაუბრონ გული, ერთ დროს მდუღარე,—
გაქვავებული ახლა ყინული!..

ოსიკო.

მესამოცე წლების მოღვაწენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

IV *)

ამ საუკუნეში შეწყდა მუდმივი ომიანობა და მხედრული მდგომარეობა. ცხოვრებამ უფრო მშვიდი, წყნარი მიმდინარეობა მიიღო. ეს კი საუკეთესო სარბიელია ვაჭრობის და აღებ-მიცემობისათვის. სომხებს, ამ ნიადაგზე, როგორც უკვე გავარჯიშებულთ, სანატრელი დრო დაუდგა. ხალხი, ვაჭრობას, ანგარიშს შეუჩვეველი, წარმოადგენდა სასურველ ასპარეზს მათი მოქმედებისას. სხვისი ოფლით გამდიდრება ადვილი ხდება. მაგრამ ასეთ გარემოებამ რომ ნაყოფი გამოიღოს აუცილებელია ერთი პირობა: ქვეყანაში ფულის მოთხოვნილება უნდა იყოს. რაც უნდა მოხერხებული ვაჭარი იყო, თუ კი შენ ხელობას ფართო ასპარეზი არ აქვს, სიმდიდრეს ვერ შეიძენ. გექნება ბლომათ პური, ღვინო, ხორცი, ყველი და სხ., ხოლო ფული კი არა, ეს ლითონი არ ტრიალებს იქ, სადაც მოქმედებ, და ციდან ხომ არ ჩამოგიყარდება. სომხებს—განსაკუთრებით დიდ სოვდაგრებს—გასულ საუკუნეში მეტი ქონების შეძენა შეეძლო, ვინემ ამ საუკუნის პირველ ნახევარში. რატომ? იმიტომ რომ მათ საქმე ჰქონდათ მეფეებთან, სასახლეებთან, დიდებულებთან. აქ, რაც უნდა იყოს, ყოველთვის ფული ტრიალებდა, ესენი ფულს საჭიროებდენ. მოიგებდენ ომს და მტერთ ფულის ბეგარას დაადებდენ, [1]) წაგებდენ და უნდა გადაეხადათ. ამას გარდა, ისინი ყიდულობდენ უცხოეთიდან მოტანილ ძვირფას საქონელს და სხ. ამ საუკუნეში ყველა ეს მოისპო. ხალხი კი ფულს არ საჭიროებდა. ეს კრიზისია სომხობისათვის. ეს ხანა დიდათ არ გაგრძელებულა. შრომის განვითარება, მისვლა-მოსვლა, სახემწიფო მოთხოვნილება ნელ-ნელა წინ-წაიდა და გამრავლდა. მასთან ერთათ გზა გაიკვლია ფულმა. ამას თან მოყვა შესაფერი პოლიტიკური ცვლილება. ამას, ასე გაშინჯეთ, ლუარსაბ თათქარიძეც კი მიხვდა. ის ბატონ-ყმობის გაუქმებას მის ძმას, დავითს, აბრალებს, ქირაზე დაჭყავს ურემი და მით წოდება დაამკირაო. ცხადია ეს ქირა ფულს ნიშნავს, რისთვისაც პატიეცემულ თავადს თავისი ხარ-ურმის გაგზავნა უკადრებია. მოისპო ბატონ-ყმობა, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფი, გაიმართა გზა-ტკეცილები, რკინის გზები. ევროპიულ პირობებში ჩავდექით, ახალ ეკონომიურ გზაზე ფეხი მოვიმაგრეთ.

მაგრამ ნამდვილი თანამედროვე ევროპიული პირობები სასარგებლოა სომხობისათვის? პირველათ გავიგოთ, რას ნიშნავს ვაჭრობაში ევროპიელობა და მერე, როგორ ვაჭრობს სომხობა.

ევროპიული ვაჭრობა ნიშნავს წესიერ, კანონიერ ვაჭრობას. მოტყუება, გაიძვერაობა აქ არ არსებობს. საქონელი ღირს ამდენი, გსურთ მირთვეთ, გსურთ დატოვეთ, გძელი ლაპარაკი საჭირო არ არის. ვაჭარმა წინდაწინ იცის მთელი წლის განმავლობაში დაახლოვებით რამდენს გაყიდის, რამდენს მოიგებს. ცხოვრება განსაზღვრულ პირობებშია, აქედან ამოხტომა გასაჭირია. ყველას გარკვეული საცხოვრებელი წყარო აქვს. ფული ერთი ხელიდან მეორეში გადადის, მეორიდან მესამეში და ასე მუდამ. საიდან წარმოიდგება ასეთი წყობილება? სათავე ერთათ ერთია: ცხოვრების დედა-ძარღვი მრეწველობაა. ეს კი შრომის განაწილებაზე არის აშენებული. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ისე, რომ მეორისაგან რამე არ იყიდოს. აქ

*) იხ. კვალი № 12.

[1]) შუშის სანი ეოგელ წლიგ შეფე ერეკლეს აძლევდა 120 ათას მანეთს, ერევნის 200 ათას მ., განჯის 50 ათას მ. (ვანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია“ 470 გვ.).

ყველა მყიდველი და გამყიდველია. თვითონ ის, ვისაც არავითარი საკუთრება არ გააჩნია-პროლეტარი — რამეს მაინც ყიდის, ეს მისი ძალ-ღონეა. ამით ვაჭრობს. ასეთ პირობებში ფულის ტრიალი და მაშასადამე მოგებაც სწრაფია. ევროპის საშუალო ვაჭარი ერთ წელიწადს იმდენს გაყიდის, რამდენსაც ჩვენებური სოვდაგარი სამ-ოთხ წელიწადსაც ვერ გასაღებს. ასეთი გარჩევაა ჩვენებურ და ევროპიულ ვაჭრობას შორის. ხოლო მოგების მადა კი ყოველგან ერთი და იგივეა. ეს ყოველგან ძლიერია. ამიტომ ჩვენებური ვაჭარი უკანონო მოქმედებით, ჩარჩობით ისრულებს იმას, რასაც კანონიერი ნიადაგი აკლებს. ამის გამო აქაური ვაჭრობა ჩარჩობა, მოტყუება, სიყალბეა. მთელი ერთი საათი სიცრუეს გეფიცება, ოღონდ კი ერთი გროში გამოგტყუოს:

თუ კი ასეა დღეს, რაღა უნდა ყოფილიყო წარსულში, როცა ხალხი სრულიად გულ-ალალი და უვიცი იყო. მართალია, აქ ვაჭრობის სარბიელი ძლიერ ვიწროა, მარა რაც არის, ის ერთიანთ ჩარჩობაო. ასეთ არასანატრელ სავაჭრო პირობებში ორი ხალხი გაიწრთვნა: ურიები და სომხები. ესენი იძულებული შეიქმნენ ვაჭრობით ეცხოვრათ; ხოლო რადგანაც წესიერი ვაჭრობით თავის რჩენა შეუძლებელი იყო, უწესო, უკანონო გზაზე უნდა დამდგარიყვენ. ამ გარემოებამ მათში აღზარდა განსაკუთრებითი თვისებები. როცა ევროპა აღებ-მიცემობის მოედანზე გამოვიდა, მას ურიები წინ გადაეღობენ. ესენი ძლიერი მეტოქენი შეიქმნენ. აი, ამ დროდან იწყება ურიების დევნა და ათას ნაირი ცილის წამება. ევროპიელ ქრისტიანებმა ისე გადააჭარბეს ევროპიელ ურიებს, რომ დღეს ეკონომიურათ წინწაწეულ ქვეყნებში (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი) არავითარი ურიათა წინააღმდეგი მოძრაობა აღარ არის. ურიათა სიძულვილი, ანტი-სემიტიზმი, ძლიერია უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში და ისიც ისეთ პროვინციებში, სადაც სამეურნეო წარმოებაა (ბრუსია, რუსეთი და სხვ.). ეკონომიურ განვითარებას ურიები ვერ უძლებენ, პირველობას ვერ ირჩენენ, რადგანაც ძველებური ხერხები გამოსადეგი აღარ არის. მათში ისტორიულათ აღორძინებული ჩარჩული თვისებები ისეთი ძლიერია, რომ მათ ბირჟაზე მოერეკება, უშრომოთ, შემთხვევით გამდიდრდებიო. ევროპის ბირჟები ურიების ხელშია. მრეწველობიდან გამორეკილნი აქ აფარებენ თავს. ხოლო დიდი უმრავლესობა, წინათ წვრილნი ვაჭარნი, დღეს გაპროლეტარიატებულია.

სომხები?

სომხები ჩვენში გაძლიერებულია იმ მაზრებში, სადაც ხალხი ეკონომიურათ დაქვეითებულია და მაშასადამე ადვილი მოსატყუებელიც. მათი ბუდე აღმოსავლეთი საქართველოა. როცა სომეხს ფულის შეძენა სურს, ის მაშინ სოფელში მიდის, გლეხ-კაცს ოჯახში უჯდება და ნებით, თუ უნებლიეთ სარჩოს ხელიდან აცლის. ის ფულს სოფელში შოულობს. მართალია აქაური ლითონი მას ვერ დააკმაყოფილებს, მარა სამაგიეროთ პური და ღვინო ბევრია, რის გაყიდვა შორეულ ბაზარზე შესაძლებელიაო. მეურნე დაშორებული ბაზრიდან დაშორებულია ფულიდანაც. ის ჩარჩების ბრჭყალებში ვარდება. ამათი სახელი ლეგიონია. პატარა ქალაქების ვაჭრობა ერთიანათ სომხების ხელშია. თბილისშიაც ისინი ბატონობენ, რაც ინტელიგენტ სომხებს საბუთს აძლევს ევროპაშია,იქ იდავონ, თბილისი სომხეთის დედაქალაქიაო. განვითარეთ ქართლ-კახეთი მისელა-მოსელით, მრეწველობით, აღებ-მიცემობით, განათლებით და მაშინვე დაიკარგვის საჩარჩო ნიადაგი და მასთან ერთათ ჩარჩი სომხობა. ცხადია, ჩვენი ეკონომიური განვითარება, სრული გაევროპიელება სომხებისათვის მავნებელია, წესიერება მისი მტერია. ის მხოლოთ ღვრიე წყალში იჭერს თევზს და მით საზრდოებს. მისი ინტერესია, ხალხი შუა გზაზე იყოს გაყინული, განვითარებული იმდენათ, რომ ფული ეჭირვებოდეს, მაგრამ ისე, რომ თვითონ არ გაქალაქდეს, არ გაანგარიშდეს, ან განათლდეს და მით ჩარჩები თავიდან არ მოიშოროს. ერთი სიტყვით ვაჭარი სომხების ცხოვრების წყაროა mediocrité en tout.

მეტყვიან: როცა ვაჭრობა ევროპიულ ხასიათს მ-იღებს, სომხებიც წესიერათ ივაჭრებენ და ეს მათთვისაც სასარგებლო იქნებაო. ამის გადაჭრა დამოკიდებულია შემდეგი კითხვის გარჩევისაგან: ევროპიულ პირობებში სომხობა შეირჩენს კი პირველობას? ევროპიელობის დედა-ძარღვი მრეწველობა, შრომის განვითარებაა. აბა, რა მრეწველობა ააღორძინეს ჩვენში სომხებმა? განე განავითარეს ან ავითარებენ ერის შრომას? ეს ხომ პირდაპირ მათ მოუღებდა ბოლოს. მოისპობოდა საჩარჩო ნიადაგი ერთი მხრით, და დღევანდელი წვრილი ვაჭრები მუშათა რაზმში გადავიდოდა — მეორე მხრით. ეს კი მათთვის სასარგებლოა? სომხები რომ მარტო მოქმედებდენ, მაშინ რასაკვირველია ბურთი და მოედანიც მათ დარჩებოდა. მაგრამ მათ გვერდში ამოუდგენ ქართველები და ძლიერ მეტოქობას უწევენ. დასავლეთი საქართველო უფრო წინ წაწეულია ეკონომიურათ ვინენ აღმოსავლეთი, იქ მეტი რკინის გზებია, მეტი წარმოებაა, ნავთ-სადგურები ზედ აკრავენ, ევროპა ახლოა და სხვ. ამისათვის ხალხიც უფრო გაქალაქებული, გაწვრთნილი, გაანგარიშებულია. სომხებს,

როგორც დიდი ხნის ეაჭრებთ, აქ ფეხი უნდა მოედგათ; აქ ხომ უფრო ერცელი სამოქმედო სარბიელია, ვინემ ტეტიათა შორის, მარა სწორეთ იქ, სადაც მეტი ევროპიელობაა, ნაკლები სომხობაა. ბათუმში თუმცა პირველათ ჩავიდენ, მიუხედავათ ამისა დღეს ქართველობა ჭარბობს. სინათლეში ქართველებს ვეღარ უძლებენ.

— ამ ქამათ ჩვენში სომხობას და ქართველობას შორის სასტიკი ბრძოლაა. ამაზე ლაპარაკი არ უყვართ, ორ „მეზობელ ხალხს ერთმანეთს ნუ გადაეკიდებთო. ძველებურ წესზე დგანან! რომ ეს „გადაკიდება“ ჩემგან იყოს დამოკიდებული ამ სტრიქონებს სრულებით არ დაეწერდი. სამწუხაროთ ეს „გადაკიდება“ შემთხვევითი და წარმავალი არ არის. მისი ფესვები ღრმათ ჩაჭედილია ცხოვრებაში. ცხოვრების წინწაწევამ წარმოშობა ეს ბრძოლა, ეკონომიური წინააღმდეგობა და ვინც ამბობს ამას ნუ გავამხელთ, ნუ ვიტყვითო, გამოდის მხოლოთ უვიცობის და შეუგნებლობის მოციქულათ. ჩვენ კი მუდამ იმ აზრის ვართ, რომ თავის თავს სიმართლე უთხრათ. გვეყოფა ისიც, რასაც სხვები გვატყუებენ, თავის თავს მაინც ნულარ მოვატყუებთ. საიდან მოდის ეს ბრძოლა?

ქართველობა ევროპის გზაზე გამოვიდა, მან ხელი მოკიდა ყველა იმ საქმეს, რასაც კი ევროპიელნი მიდევენ. აქ პირველი ალაგი უჭირავს აღებმიცემობას, წარმოებას. მაგრამ მას ამ გზაზე უკვე გამოსული სომხობა წინ გადაეღობა და, აი, აქ ისინი მოხვდენ ერთმანეთს. ყოველი ნაბიჯი ქართველობის მიერ წინ გადადგმული, ნიშნავს ნაბიჯს მის მეტოქეთა მიერ უკან გადადგმულს. ასეთ ბრძოლაში და გამარჯვებაშია ჩვენი კულტურული ზრდა, ჩვენი ეროვნული განვითარებაა. როგორც ზევით ვთქვით, სომხობა მარცხდება იქ, სადაც ქართველობა ევროპიელდება, ცხადია, ჩქარი წარმატება, გაევროპიელება პირდაპირ ჩვენ ინტერესს შეადგენს. ყოველივე ის, რაც ავითარებს შრომას, აადვილებს მისვლა-მოსვლას, აქალაქებს და ანათლებს ხალხს წარმოადგენს ბასრ იარაღს, რითაც უნდა ბოლო მოეღოს ხალხის კისერზე მჯდომთ, მისის სისხლის მწოვთ..

რატომ ქართველს ასე ეხერხება ევროპიული წესით ბრძოლა? იმიტომ, რომ ის სწორეთ, მაშინ გამოვიდა საბრძოლველათ, როცა სხვა წესები აღარ მოიპოვებიან. სომხები ისტორიულათ აღიზარდენ სხვა პირობებში, შეისისხლ-ხორცეს სხვა წესები, ამისათვის დღეს ეძნელებათ ძველის დატოვება და ახალის შეთვისება. ეს მით უფრო უჭირთ, რომ მეტოქენი ამოუჩნდენ და დროს არ აძლევენ ასეთ გარდაქმნისათვის. ქართველობას კი აღარ შეუძლია სხვანაირათ აღჭურვა, თუ არა ევროპიულათ. თუ ამ გზას ხანდახან ცილდება, ეს იმიტომ რომ ახალი გამოსულია და ფეხი გამაგრებული არ აქვს.

აი, როცა ეს პირობები შესრულებულ იქმნებიან, მაშინ სომხობა ქართველობისათვის აღარავითარ ტვირთს არ წარმოადგენს და მათ შორის ბრძოლაც მოისპობა. სომხობის დიდი ნაწილი გაპროლეტარიატდება და ძალა-უნებურათ გვერდში ამოუდგება ქართველ მუშას, და თუ დღეს სომხობა იბრძვის კაპიტალისათვის წინააღმდეგ შრომისა, მაშინ ეს პირს იბრუნებს და გაღარიბებული ნაწილი ომს გამოუცხადებს მის პირვანდელ ღმერთ — კაპიტალს. როცა ეს ასე მოხდება, მაშინ ძირიანათ შეიცვლება ჩვენი ეკონომიური და მოქალაქობრივი წყობილება და მასთან ერთათ ჩვენი სომხებთან დამოკიდებულება [1]).

ნ. ყორდანია.

(შემდეგი იქნება)

ნუშა.

(მოთხრობა) *)

ბნის ქალები შეკრებილიყვენ მაგდასას, საქმეს აშურებდენ. ნახმარი ფარჩის კაბა სარტყელგულისპირით, თასაკრავები, ჩიხტი, კოპები, ფეხ საცმელი, საცელები გაშლილი იყო ტახტზე. ზოგი გადაეკეთებიათ, ზოგი შეეკერათ, ზოგი დაეკერებიათ. ქალების ხელმარდათ მუშაობას, იმათ წყნარ ღიღინს, იმათ ხუმრობას და სიცილს ეშხზე მოჰყავდა კაცი. ეშურებოდენ, რადგან სადილობა მოტანებული იყო, ქალი კი იმ ღამეს უნდა წაეყვანათ. მაგდა ჩაჯდომოდა ქარგვას და თასაკრავს კილიტას აყრიდა, თან თვალი ბუხრისკენ ეჭირა, საცა ქვაბით საჭმელი ჩუხჩუხებდა.

---

*) იხ. „კვალი“ № 12.

[1]) აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: როცა ჩვენ აქ სომხობაზე ბასსი გვაქვს, სრულიად სასუში არ გვეგულვის მისი ინტელიგენტია და მით უფრო ოსმალეთის სომხობა, რომლის გასათვისუფლებელ მოძრაობას მთელი ჩვენი სიმპატია ეკუთვნის. შეორეთ, როცა კამბობთ ქართველს ევროპიელება ესერსება-თქო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის უკვე გაევროპიელდა, ჩვენ გუჩვენებთ მსოფლოთ ტენდენციას, მიდრეკილებას და არა დასრულებულ პროცესს.

მოისმა მაღალი სიცილი. ოთახში შემოვიდენ ცალხელაანთ მართა და სოფლელიანთ ეკა. მართას თავზე ხილაბანდი ჰქონდა გადაჭერილი, ხილაბანდიდან თმა გამობურძგნოდა, ტილოს ფეშტამალი ეფარა, დამკლავებული ხელებით წინდას აშურებდა. ეკას კვეი ედო პირში და ლაშებს იქნევდა.

— ბარაქალათ, ქალებო! გაისარჯენით კიდევ ცოტა, მერე მოირთეთ და მოიკაზმეთ, რომ საღამოზე დაირა-ნაღარა გავაჩაღოთ, მტერს თვალები დაუყენოთ, შეახალისა მართამ ქალები და მიუბრუნდა მაგდას:

— პური ამოვყარე; კიდევ კარგი ცოტა ფქვილი შერჩენოდა გეგენას. სარეცხს მელანა აუთოებს. მე წავალ და ი გოგოს პირს გაუკეთებ.

— ნახავთ, თუ ჩვენი პატარძალი არ დაშვენდეს! ჩამოართო სიტყვა ეკამ.

— მითომ რატომაო? ლამაზი გოგოა; კარგი, რომ არ ყოფილიყო, ის ბიჭი რას დაეხარბებოდა? მიუგო მაგდამ.

— არა, ქალო ჩვენ უბნის ქალებს იმისთვის უფრო ეტანებიან, რომ საქმიანობის და ნამუსიანობის ხმა აქვთ დავარდნილი, მიუგო მართამ და ბუხართან ჩამოჯდა, მაგრამ დაცხა და მიუბრუნდა სახლის პატრონს:

— ადამიანო, ამ სიცხე-პაპანაქებაში შენ რაღას ათუხთუხებ?!

— ჩემმა ნუშომ რძის ფლავი მოითხოვა, გამიკეთეო. საცაა მოვა სკოლიდან.

— ნეტა ეგრე არ ანებივრებდე მა გოგოს! რადროს რძის ფლავია?

— ვინა მყავს, ქა, იმის მეტი? მიუგო მაგდამ ამოხვერით.

ამ დროს უცებ შემოვიდა პატარა. კოხტათ ჩაღილული წუღები ეცვა, წიგნების ნაკერი ჩანთა ეჭირა, თავზე ეარდებით მორთული შაპო ეხურა, გაქათქათებული მაჯა-საყელო უჩანდა. თმა წინ შეკვერცხილი ჰქონდა, მაღალი მტკიცე შუბლი გამოსჩენოდა. ბუნჩულა ხელებზე ცოტა მზე მოჰკიდებოდა. დედამ გულში ჩაიკრა ბავში.

— დედილო! მომიხარშე რძის ფლავი?

— ჰო, შვილო, აგერ დუღს.

— დუღს! დუღს! მე კი მეგონა დასხმულიც იქნებოდა... წაიბუზღუნა პატარამ, ტუჩები გამობურცა, კედლისკენ მიბრუნდა და კედელს თითით ჩიჩქნა დაუწყო.

დედა წამოხტა და ქვაბს შეუმარჯვა.

— სკოლაში ჩემ ამხანაგებს ყველას თათმანები აცვია, მე კი არა. დღეს ოსტატმა ხელებზე შემომხედა; მგონია, შემატყო, რომ მზე მომკიდებია, უთხრა პატარამ ცოტა ხანს უკან.

— კარგი, საყვარელო, გიყიდი, მიუგო დედამ ამოხვერით და ისევ ქარგვას ჩაუჯდა.

დედა-შვილის ლაპარაკს ყურს არავინ ათხოვებდა, ყველანი საქმეს ჩაცქერიდენ, შეჩვეული თითებით მარდათ აცურებდენ ნემსს, მართა კი ყურს უგდებდა პატარას. ბოლოს ვეღარ მოითმინა და უთხრა:

— გოგო! აღარც ისე პატარა ხარ, რომ არაფერი გესმოდეს. რას აგულებ დედა შენს, ეგრე რომ აწუხებ? ვერა ხედავ, ნემსის წვერით ცხოვრებს. გაუფთხილდი მაგას, თორემ თვალი დაგიდგება.

— შენ ვინა გკითხავს? შეუტია პატარამ და რომ ნახა ყველამ გაკვირვებით შეხედა იმას, ტირილი დაიწყო.

ბავშის პასუხი იმისთვის გაუკვირდათ, რომ მართას ყველა პატივსა სცემდა, წვრილფეხობას კიდეც ეშინოდა იმისი. თუმცა პირდაპირი თქმა და გასწორ-გასწორა სიტყვა იცოდა, მაინც დიდათ აფასებდენ იმას, რადგან იმისი გამჭრიახობა და ხერხიანობა ყველამ იცოდა, იმის მადლიან მარჯვენას არაფერი საქმე არ უძნელდებოდა, და იმის პატიოსნება საარაკოთ ჰქონდათ უბანში, — შიმშილით მოკვდებოდა და არმათ კი ლუკმას არ შეჭამდა, — რადგან ჭირში თუ ლხინში ეს დაუღალავი დედაკაცი შეუდარებელი იყო.

მართას ეუცხოვა ყმაწვილის სიტყვა, სახტათ დარჩა, წინდის ქსოვაც კი შეწყვიტა, ჩხირებს აღარ აცოდვილებდა. ბოლოს უთხრა მაგდას:

— დაიხსომე, ქალო, ჩემი სიტყვა: თუ მა ბავშის გაყვინიზებას ახლავე თავი არ დაანებე, ინანებ.

დაღამდა. გეგენას სახლი გაჩაღებული იყო. გარეთუბნელები მორთულიყვენ. უფროსები ფარჩის ან ტერნოს კაბებში, სუფთა ლეჩაქ-თასაკრავებით გამოწყობილები, უმცროსები კოხტათ შეკერილ და ფაქიზათ შესახულ ჩითის კაბებში. სიამოვნებით სახე გაბრწყინებოდათ. ერთ მხარეს პატარძალი იდგა ფარჩის კაბით, ოქრომკედით ნაკერ სარტყელ-გულისპირით, დაბასმული ლეჩაქით, კილიტა და კნეთელ შეყრილ თასაკრავით. პატარძლის გვერდით ნუშო იდგა მთლათ თეთრებით მორთული და ხელში თაიგული ეჭირა. მართას დაირა აეღო, ჰაერში აქანებდა, რომ გაფიცხებულიყო და უკეთესი ხმა მისცემოდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, თვალებს აბრიალებდა, მაგრამ დახვედრა და შესაფერი პასუხი ხომ არსად არის საჭიროო. ვინ იფიქრებდა, რომ აქ ღარიბი ოჯახების ქალ რძალს მიეყარა თავი: გემოვნებით შეხამებული თაიგული იყო ეს კრება. გეგე-

ნაც იქ იყო; ულვაშები შეეღება, წვერი მოეპარსა, კაბის მარჯვენა ყურთმაჯი მარცხნივ გადაეგდო, ბუხრის ქუდი ჩაეტეხა: უცხო კაცს შეაკრთობდა.

III.

გაზაფხულის დილა იყო, დიდი ხნის მოღრუბლული ცა მოწმენდილიყო. კაშკაშ მზეს გარეთუბნის ტალახიანი ქუჩები გაენათებინა და აშრობდა. თავის ბწყინვალე სხივები საწყალი ხალხის სახლებშიაც შეეშუქებინა, ეგება გული გაუნათო, ეგება დანესტიანებული სადგომები ცოტათი მაინც გაუშროო. მაშ რა უნდა ექნა, როცა უიმისოთ ამოდენა საწყალ ხალხს ნესტი და სუნი ამოქლეტდა? ფანჯრების პატარა ბუნდი შუშები კი ეწინააღმდეგებოდენ მზის ამგვარ სურვილს, არ აძლევდენ ნებას მთლათ გამოეჩინა თავისი მაცოცხლებელი ძალა. ხალხს გარეთ გამოეფინა დაობებული ტანისამოსი და ლოგინი.

მთელ გარეთუბანში მოისმოდა გაგიჟებული მტკვრის შხუილი. მტკვარს ერთი ათათ ემატა და ნაპირებზე მდგომი შენობების სარდაფები აევსო. აზვირთებული მდინარე დიდძალ ნარიყს მოეზიდებოდა. ვეება მორევი მთელ-მთელ ხეებს იხვევდა; იმისი მღვრიე ტალღები ძლიერათ ეხეთქებოდენ ნაპირებს და უკანვე ბრუნდებოდენ აქაფებულები. მდინარის ნაპირზე ხალხი შეგროვილიყო; ზოგი ნარიყს იჭერდა, ზოგი სეირს უყურებდა. ნარიყს ერთი გძელი ჯოხით ითრევდა წყლიდან, სხვას თოკზე კაკი მოება და ესროდა. უფრო დედაკაცობა და წვრილფეხობა ჩანდა. ფეხთ დაეხადნათ, ზოგს დაეკარწახებია კიდეც, რადგან ტალღები შორს აჩქაფუნებდენ და ფეხსაცმელს ასველებდენ. ეს შრომა უფრო გართობასა ჰგავდა, სანამ მუშაობას: ერთმანეთს ებაასებოდენ, ლაზღანდარობდენ, სიცილ-ხითხითი ქონდათ, მეტაჯრე როცა რომელსამე მარცხი მოუვიდოდა და მზათ დაჭერილ შეშას მოტაცებდა წყალი, ან ფეხი წაუცდებოდა და მუხლამდის წყალში ჩავარდებოდა; შეღერებული გოგოებიც იყვენ იქ; იმათ ფაქიზათ ეცვათ, წყალს არიდებდენ ტანისამოს; უფრო შეშის დაწყობას ველოდენ. ყმაწვილკაცებიც იყვენ. სოსანაც იმათში ერია.

სოსანას მწვანე ტერნოს ახალუხის სახელოები გადაეკეცა, დუგმები გაეხსნა და გახამებული მაჯასაყელო უჩანდა, მხრეპამდის გადაშლილი ხუჭუჭი თმა აწეწოდა, გაჰფანტოდა. ხელში გძელ თოკზე მობმული რკინის ბორჯღი ეჭირა და შუა მორევიდან ითრევდა ხეებს. არავინ არ ეკრძალებოდა ამ ახლათ წვერ-ულვაშ აშლილ ახალგაზდას, ყველა შინაურულათ უყურებდა: უბნის საყვარელი და სასიამოვნო შვილი იყო ის. პატარობითვე ამ უბანში იზდებოდა ცალხელაანთ მართასას. ყმაწვილმა მალე შეაყვარა თავი სახლ-პატრონსაც და უბანსაც. წყნარი და მოკრძალული ხასიათი ჰქონდა. არც არაფერ საქმეს ერიდებოდა; წყლის ამოტანა, ბაზარში წასვლა, შეშის დაჭრა, სამოერის დადგმა,—ყველაფერსა ჰკიდებდა ხელს, ისე ირჯებოდა, როგორც სახლის ნამდვილი შვილი. თანაც თავის საკუთარ საქმეს არა ჰლალატობდა: იმისი ბეჯითობა სამაგალითოთა ჰქონდათ უბანშიც, მკოლაშიაც. ამხანაგს წინ არ გაისწრობდა. პატარების საყვარელიც იყო: უბნის ბიჭები თამაშობის დროს იმას ირჩევდენ დიამბეგათ, თუ მამასახლისათ, უბნის გოგოები იმას აწერინებდენ საქორწილო ბარათებს, როცა დედოფალებს ათხოვებდენ. იმასთანვე მიჰქონდათ გასაშინჯათ ნაწერები, როცა ერთმანეთს წერაში შეეჯიბრებოდენ, იმასთანვე მიარბენინებდენ ხილს, თუ კი ხელში ჩაუვარდებოდათ. როცა წამოიზარდა და შეიძლო, ნამდვილ ეხმარებოდა უბანს: წერილების წერა, დეპეშების გაგზავნა, ქალაქისაგან შემწეობის გამოთხოვნა ღარიბებისათვის და იმისი გამოტანა, ქუჩის ყარაულებთან, თუ სხვა მოხელეებთან ლაპარაკი, როცა ისინი რამე საქმისათვის ღარიბ ხალხს ჩაუვლიდენ და სხვა ამისთანა საქმეები სოსანას ებარა, ამისთანა საქმეების გამკეთებელი სოსანა იყო. ბოლოს ხომ სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს ის, მაგრამ მაინც არ ივიწყებდა იმ უბანს, საცა გაზდილიყო, ისეთი სიამოვნებით მიდიოდა თავის დედობილის სახლში, როგორც სხვა იმისი ამხანაგები თავიანთ დედ-მამასთან, ან ნათესავებთან. ღვთის წინაშე, სხვა რამეც კი იზიდავდა სოსანას გარეთუბნისაკენ.

ახლაც პანსიონიდან ჩამოსულიყო უბანში და გამონარიყის ჭერას ველოდა მართას. გარეთუბნელი ქალები, წინანდელი იმისი მეგობრები, ისევ უნაზდებოდენ იმას, თუმცა იმათ ქცევას ახლა მოკრძალებაც ეყობოდა: ყმაწვილური სიახლოვე ნდომას შეემღვრია და გულუბრყვილობა წაერთმია. ახალგაზდას თვალი ეჭირა იმათკენ, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ვინღაც აკლდა თვალში: მალმალ იხედებოდა წყალზე ჩამოსასველელ ბილიკისაკენ, ელოდა.

სოსანას თვალში აკლდა თავის სიყმაწვილის მეგობარი, თავისი სატრფო ნუშო; იმას ეძებდა, იმას ელოდა. ეს ტრფიალი იმისი დიდი საიდუმლო იყო, ყველა ღონისძიებითა ჰფარავდა ამ საიდუმლოს უცხო თვალისგან. ეს ტრფობა იყო იმისი მანუგეშებელი, გამამხნევებელი, როცა შრომისაგან დაქანცულს ხალისი ეკარგებოდა, სევდა შემოაწვებოდა; ეს ტრფობა იყო იმისი ამაშფოთებელი, როცა გონებაში და-

ისახადა, რა გძელი გზა ჰქონდა გასაველელი ცხოვრებაში შესვლამდის და რა ძნელი წამოსადგენი იყო, რომ იმის შევნერი ნუშოს მანამდის არაკინ დაჰპატრონებოდა. ეს ტრფიალი უხილავათ თან დადევდა ყმაწვილის ყველა სურვილს, ყველა აზრს ყველა მოქმედებას, გაუწყვეტლათ აშუქებდა და აზრს აძლევდა იმის ცხოვრებას. ნუშოც ატყობდა, რანაირათ უყვარდა ის სოსანას, თითონაც მოწონდა, მაგრამ ყმაწვილებს ერთმანეთისათვის ეს არ უთქვამთ; ის კი იყო, რომ ქალი ძალიან ენაზებოდა ყმაწვილს.

წყალმა ჩამოატარა მთელი ხე თავის ტოტებიანდ ჯირკვებიანათ, ვინ იცის, რომელ ჭალაში მოეგლიჯნა ის ნიაღვარს. მორევმა რამდენჯერმე მძიმეთ მოატრიალა ის და ჩაიხვია.

— აბა, სოსან, თუ ყოჩაღი ხარ, იმ ხეს არ გაუშვებ, უთხრა ყმაწვილს მართამ.

— ცოტა შორს არის.

— სცადე, მარჯვე ხელი გაქვს; აფსუსია, რომ წაიღოს, შეახალისა ეკამ.

— ალალბედზე კი ნუ გადააგდებ კაეს, ვისიმე ბედზე ესროლე, ამ ქალებში ჩაიფიქრე ვინმე გაეხუმრა მაგდა.

მაგდას სიტყვაზე ყმაწვილკაცი ყაყაჩოსავით აწითლდა. რჩევა მოეწონა, მაგრამ იქ მყოფ ქალებთაგანი კი არავინ ჩაიფიქრა.

— ჩემი ნუშოს ილბალზე!—თქვა გულში, აიკეცა თოკი, კავი მოიმარჯვა და დაუწყო მანძილს თვალით ზომვა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

სახუმარო გასართობი.

„ივერიის“ № 65-ში არის ერთი ახალი ამბავი დასტამბული. რადგან ამ ამბის ენა და სტილი განსხვავებულია, პროგრესიულია, ამისთვის ვფიქრობთ ეს ამბავი თვით ცნობილი პედაგოგის იაკ. გოგებაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. ამ სახით ჩვენს უაღმატებულეს პედაგოგს ბ-ნ ი. გოგებაშვილს გამოუცხადებია, რომ მის დედა-ენას ამ ჟამათ ასურათებს ორი „ხუდოჟნიკი“ და გამოვა „მეტორმეტე“ (?) გამოცემათ. ასეთი განცხადებით მათს უაღმატებულესობას პედაგოგს შემოაქვს ახალი პროგრესიული ხანა ქართული ენისა. ესეევ განცხადება გვაუწყებს, რომ ამიერიდან მისი სიტყვიერების დედა-ენა ქართული მუზიკის დედა-ენათაც ხდება, რადგან ამავე „მეტორმეტე“ გამოცემაში მას სურს მოათავსოს კახური, ქართული, იმერული, გურული, მეგრული და სვანური სიმღერები, ნოტებზე გადაღებული. ალბათ ეს ნოტებიც აღმატებული პედაგოგის შეთხზული იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელისა.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 26 მარტს 1896 წ.

ქართული თეატრის სცენარიუსის ა. თამაზიშვილის სასარგებლოთ.

ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

I

სურამის ციხე

ისტორიული დრამა 3 მოქმ. და 4 სურათით გადმოგ. დ. მესხისაგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. რჩეულოვისა, მიხეილისა, ვაშაკიძისა, ჯაფარიძისა და სხვ. ბბ. ხაშმელი, ძნელაშვილი, თამაზოვი, შველიძე, ინასარიძე და სხვ.

II

ახირეგულია

კოდეული 1 მოქმედებათ ნ. ბ. ეიფეანისა.

დასასრულ

ბ. რატილის ხორო

იმღერებს სხვა და სხვა სიმღერებს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ 8½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: აღდგომის ლექსი—კისა.—საღვთო სურათები კოწიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—შენიშვნა დუტუ მეგრელისა.—მეცნიერება გაოცდა, თუ მეტაფიზიკა ფ. მახარაძისა.—*** ლექსი ოსიკოსი.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (გაგრძელება), ნ. ჟორდანიასი.—ნუშო მოთხრობა ვ. ბარნოვისა.—სახუმარო გასართობი და კერძო განცხადებანი.—

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ“ მესამე ნომერი მარტის თვისა უკვე გამოვიდა და ფრიგდება ხელის მომწერლებს.

Доз. ценз. Тифлисъ, 21 Марта 1896 г. — Тип. М. П. Ротиніанца სტამბა, ძ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.